

## სტუდენტის შეფასება

✚ ბხსუ-ში სტუდენტთა შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) – ფრიადი - შეფასების 91- 100 ქულა;

ა.ბ) (B) – ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) (C) – კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) (D)– დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა.ე) (E) – საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

✚ საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის შეფასება მოიცავს ორ ფორმას - შუალედურს და დასკვნითს. ბხსუ-ში მოქმედ 100-ქულიან სისტემაში შეფასების შუალედური და დასკვნითი ფორმის ხვედრითი წილი, შეფასების თითოეული ფორმის კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები, ისევე როგორც შეფასების თითოეულ ფორმაში გადასალახი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი მითითებულია საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის სილაბუსში.

✚ დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

✚ დასკვნით შეფასებაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შეფასების შუალედურ ფორმაში გადალახული აქვს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

✚ საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის/დასკვნით შეფასებაში „ჩაიჭრა“-ს მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის მიმართ.

- ✚ სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.
- ✚ დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.
- ✚ დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.
- ✚ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისათვის (FX) შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო (F) შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.
  
- ✚ სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევარი ფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით).
  
- ✚ ბხსუ-ში გამოიყენება, აგრეთვე, სტუდენტის/კურსდამთავრებულის შეფასების საშუალო მაჩვენებელი (GPA).